

## საქართველოს კანონი

### „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა დამატებების შეტანის თაობაზე

#### მუხლი 1.

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №30, 24.06.2005, მუხ. 186) დაემატოს შემდეგი შინაარსის 13<sup>1</sup> მუხლი:

„მუხლი 13<sup>1</sup>. განსაკუთრებულ სამშენებლო რეგულირების ზონა

განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში მშენებლობის ნებართვა კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიცემა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გამგებლობაში მყოფი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – მთავარი არქიტექტურულ-სამშენებლო ინსპექციის მიერ, რომელიც, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობას ამ ზონაში მიმდინარე მშენებლობაზე.“.

#### მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი